პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Министерства здравоохранения ГССР и Грузинского Республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 100 (699). | კვირა, 20 დეკემბერი, 1953 წ. | ფასი 30 კაპ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

მაღალი ხარისხის ინვენტარი — ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა მამობრივად ზრუნავენ მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი ზრდისათვის. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკების წინაშე დგას ამოცანა — ორი-სამი წლის განმავლობაში მკვეთრად აამაღლონ მოსახლეობის მომარაგება სამრეწველო და სასურსათო საქონლით. ამოცანა ითვალისწინებს საქონლის გამოშვების არამარტო რიცხვობრივ, არამედ მის ხარისხობრივ ზრდასაც. პარტია მოითხოვს ხალხისათვის დამზადებული ყველა ნაწარმი იყოს მაღალი ხარისხის, ლამაზი.

ამ კეთილშობილურ ამოცანის გადაჭრაში დიდი როლი უნდა შეასრულონ მსუბუქი მრეწველობის მუშაკებმა. საბჭოთა ხელისუფლება ყველა პირობას ჰქმნის მეურნეობის ამ დარგის სწრაფი განვითარებისათვის. ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა მხარეში განზრახულია საფეიქრო კომბინატების, ტყავის ქარხნების, სამკერვალო, ფეხსაცმლისა და ტრიკოტაჟის ფაბრიკების აგება. მიმდინარეობს ძველი საწარმოების რეკონსტრუქცია.

მსუბუქი მრეწველობის მუშაკებმა პარტიისა და მთავრობის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად უკვე გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი. საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკოსებმა, სტახანოველებმა შემოქმედებითი საქმიანობით კიდევ უფრო გაზარდეს შრომითი მაჩვენებლები, გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის.

მსუბუქი მრეწველობის მუშაკები დღემდე ვალში არიან ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების წინაშე. ცენტრალური გაზეთები ყოველდღე ათავსებენ ცნობებს ფართო მოხმარების საგნების, ტრიკოტაჟის, ფეხსაცმლის ახალი ნიმუშების ათვისებისა და მათი ზეგეგმით გამოშვების შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, სპორტინვენტარზე არასოდეს არაფერი თქმულა. ეს გასაგებიცაა. რესპუბლიკაში მხოლოდ „დინამოს" სპორტული ინვენტარის ფაბრიკა და არტელი „სპორტი" ამზადებენ სპორტულ ინვენტარს და ისინი მთლიანად ვერ აკმაყოფილებენ რესპუბლიკის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

არტელ „სპორტის" საქმიანობა ვერ უპასუხებს მის წინაშე დასახულ ამოცანებს. იგი გატაცებულია პროდუქციის გეგმის შესრულებით, ხოლო ხარისხზე ნაკლებად ზრუნავს. ხარისხიანი საქონლის გამოშვების საქმე შედარებით კარგად არის დაყენებული „დინამოს" სპორტინვენტარის ფაბრიკაში. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მის მიერ დამზადებული ზოგიერთი ინვენტარი მეტად ძვირი ღირს. ავიღოთ, მაგალითად, რინგი. რუსეთის ქარხნებში დამზადებული რინგის შეძენა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე თბილისში დამზადებულის. არც „დინამოს" ფაბრიკა და არც არტელი „სპორტი" არ კიდებს ხელს კრივის სავარჯიშო ხელთათმნის დამზადებას. სამაგიეროდ არტელი „სპორტი" გატაცებულია სხვადასხვა ტრიკოტაჟის ქსოვით, რასაც სპორტულ ინვენტართან არავითარი კავშირი არა აქვს.

მეტად მწვავედ დგას სპორტული ინვენტარის შეკეთების საკითხი. არც „დინამოს" ფაბრიკასთან და არც არტელ „სპორტთან" არ არის ჩამოყალიბებული შემკეთებელი ბრიგადები. ინვენტარი პატარა დაზიანების შემდეგ უკვე მწყობრიდან გამოდის, რადგან მთელ რესპუბლიკაში არცერთი ორგანიზაცია არ კიდებს ხელს მის შეკეთებას.

რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებმა საქონლის განაწილების დროს უნდა გაითვალისწინონ, შეისწავლონ რაიონების თავისებურება. ხდება, სავაჭრო ორგანიზაციები უთოვლო რაიონებს თხილამურებს უგზავნიან, ხოლო თოვლიანი რაიონების, ფიზკულტურულები, როცა გარეთ უკვე თოვლია, ძალოსნობისა და სხვა ინვენტარს იღებენ.

პარტიამ და მთავრობამ ჩვენს სპორტსმენებს მეტად დიდი ამოცანა დაუსახა — დაიპყრონ მსოფლიო სპორტული მწვერვალები სპორტის წამყვან სახეობებში. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ყოველდღიური წვრთნით და იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენები მომარაგებული იქნებიან კარგი ხარისხის ინვენტარით.

ჩვენ რაიონებისაგან მოვითხოვთ, მოამზადონ მაღალი კლასის სპორტსმენები, რომლებიც შეავსებენ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს და წარმატებით გამოვლენ საკავშირო სარბიელზე. მაგრამ ამის მიღწევა მათთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს იმის გამო, რომ ისინი მეტად ცუდად მარაგდებიან სპორტინვენტარით. მძლეოსნებს არა აქვთ სარბენი ფეხსაცმლები, ფეხბურთელები განიცდიან ბუცებისა და სხვა საჭირო ნივთების ნაკლებობას, მოჭიდავეთათვის არ არის ლეიბები და სხვ. საჭიროა მსუბუქი მრეწველობისა და სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკებმა გაითვალისწინონ რესპუბლიკის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების საჭიროებანი და ყოველი ღონე იხმარონ მაღალი ხარისხის სპორტული ინვენტარით მათი მომარაგებისათვის.

ოთხი დღე დაძაბულ ბრძოლებში

საქართველოს პირადი პირველობა კრივში

თბილისის სახელმწიფო ცირკის სარბიელი. გაჩირაღდნებული რინგის მოპირდაპირე კუთხეში დგანან მოკრივეები. სეკუნდანტებმა უკანასკნელი რჩევა-დარიგება მისცეს მებრძოლებს. გონგი... ისინი მიუახლოვდნენ ერთმანეთს და... შეხვედრა დაიწყო.

უმჩატესი წონის მოკრივეები თბილისელი რ. კალაჯევი („შრომითი რეზერვები") და ბათუმელი შ. ხუდოიანი („სპარტაკი") საფინალო შეხვედრამდე წაუგებლად მოვიდნენ. პირველი ადგილისათვის ბრძოლაში ორივეს თითქმის თანაბარი შანსები ჰქონდა.

შეხვედრა დაიწყო კალაჯევის იერიშებით, თავიდანვე ცხადი გახდა, რომ მას ელვისებური შეტევით მოწინააღმდეგის გაბრუება სურდა. ამ მიზნის გასახორციელებლად იგი უმთავრესად მარცხენა ხელს ხმარობდა და მოწინააღმდეგის საპასუხო დარტყმებს ოსტატურად იცილებდა. გამოცდილმა მებრძოლმა კალაჯევმა წარმატებით შეასრულა მისი საბრძოლო გეგმის პირველი ნახევარი: მოწინააღმდეგეს თავს მოახვია საკუთარი ტაქტიკა. ახლა უკვე კალაჯევის დარტყმები უფრო ხშირად აღწევდა სასურველ შედეგს. მეორე რაუნდის ბოლოს ხუდოიანი ახლო ბრძოლაში ჩაება და მარჯვენა ხელით რამდენიმე ძლიერი დარტყმა მიაყენა მოწინააღმდეგეს. მაგრამ მესამე რაუნდში ცხადი გახდა თბილისელის უპირატესობა. იგი რინგზე მოძრაობდა თავისუფლად და ენერგიულად. მსაჯთა კოლეგიამ გამარჯვება ერთხმად სპორტის ოსტატ კალაჯევს მიანიჭა.

ასე დაიწყო საქართველოს უძლიერეს მოკრივეთა პირადი ჩემპიონატის პირველი ფინალური შეხვედრა. ასპარეზობისადმი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, სტალინირის, რუსთავისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლები, ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ სახელმწიფო ცირკის შენობა ვერ იტევდა კრივის მოყვარულთა ნახევარს. ეს ერთის მხრივ გასაგებიც იყო. ჩემპიონის საპატიო წოდებისათვის იბრძოდნენ საბჭოთა კავშირში სახელგანთქმული ოსტატები: კალაჯევი, ლომიძე, მიქაელიანი, ხანუკაშვილი, ძმები დარბაისლები და სხვ.

მაყურებელთა შორის ჯერ კიდევ არ იყო გამქრალი კალაჯევ-ხუდოიანის შეხვედრით მიღებული შთაბეჭდილება, იარუსებზე გაცხოველებული აზრთა გაცვლა გამოცვლა მიმდინარეობდა, რომ რინგზე ახალმა წყვილმა დაიწყო ბრძოლა. საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონის, სპორტის ოსტატ გ. ხანუკაშვილის წინააღმდეგ გამოდიოდა ახალგაზრდა ქუთაისელი მოკრივე რ. კიზაევი. შეხვედრა დაიწყო ნელი ტემპით, რაც უდავოდ ხელსაყრელი იყო ხანუკაშვილისათვის. ზუსტი მანევრებით იგი მოწინააღმდეგეს სახეში და მუცლის არეში აყენებდა დარტყმებს. ახალგაზრდა მოკრივემ ნახა რომ ბრძოლის ასეთი ტაქტიკა მას კარგს არ უქადდა და გადავიდა ახლო ბრძოლაზე. მეორე რაუნდში ერთ-ერთი შეტევის დროს, კიზაევმა თავის არასწორი მოძრაობით წარბი გაუხეთქა ხანუკაშვილს. კრივის წესების დარღვევისათვის კიზაევს წაგება ჩაეთვალა

დაძაბული ბრძოლა გაიმართა ქვემსუბუქ წონის მოკრივეთა — გ. მიქაელიანისა და ლ. ანდღულაძის — ფინალურ შეხვედრაში. მსაჯთა კოლეგიამ გამარჯვება ანდღულაძეს მიანიჭა.

თბილისის მაყურებელთა შორის პოპულარობა მოიპოვა ახალგაზრდა სტალინირელმა სპორტსმენმა ზ. კოზაევმა. იგი არაჩვეულებრივი ენერგიით მესამე რაუნდშიც ისე იბრძოდა, როგორც შეხვედრის დასაწყისში. ამიტომ საეჭვო იყო ვინ იქნებოდა ჩემპიონი მსუბუქ წონაში — ახალგაზრდა კოზაევი თუ გამოცდილი მოკრივე ქ. ზუბიაშვილი.

უნდა ითქვას, რომ ეს შეხვედრა ზუბიაშვილმა ჩაატარა ჩინებულად და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწია. ახალგაზრდა ნიჭიერ მოკრივეს კოზაევს და მის მწვრთნელს უნდა ახსოვდეთ, რომ ძალასა და გამძლეობაზე მთელი იმედების დამყარება არ შეიძლება.

ჩემპიონატში ყველაზე საინტერესო და შინაარსიანი იყო ქუთაისელ ფ. ლომიძისა და თბილისელ რ. ოგანეზოვის ბრძოლა. დასაწყისშივე ლომიძემ ძლიერი დარტყმით ნოკდაუნში ჩააგდო მოწინააღმდეგე. პირველმა წარუმატებლობამ ოგანეზოვი არ შეაკრთო. იგი გადავიდა საპასუხო შეტევაზე და რამდენიმე ძლიერი დარტყმა აგემა ლომიძეს. ორივე მოკრივემ ჩინებული ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება გამოავლინა. ოსტატურ აცილებას სცვლიდა ძლიერი დარტყმები. მესამე რაუნდში ერთ-ერთი შეტევის დროს, ოგანეზოვმა გაშლილი ხელთათმნით ძლიერად მოარტყა ლომიძეს. ნოკდაუნი არ ჩაითვალა, რადგან კრივის წესებში გაშლილი ხელთათმნით დარტყმა აკრძალულია. ლომიძემ შეისვენა, სწრაფად წამოდგა ფეხზე და ძლიერი საპასუხო დარტყმით ოგანეზოვი ნოკდაუნში ჩააგდო. მესამე რაუნდის დასასრულისათვის მოკრივეები საგრძნობლად დაიღალნენ. მაგრამ იერიშების სიმძლავრე არ შენელებულა. ორი ღირსეული მოკრივის შეხვედრა დამთავრდა ფ. ლომიძის დამსახურებული გამარჯვებით. მან მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება პირველ ქვესაშუალო წონაში.

მეორე ქვესაშუალო წონაში ერთმანეთს შეხვდნენ გ. შამიროვი და რ. ციციაშვილი (ორივე თბილისიდან). ტექნიკურად უკეთ მომზადებულ და ფიზიკურად ძლიერი შამიროვის უპირატესობა აშკარა იყო. მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა ციციაშვილი მაინც დამარცხდა. რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა გ. შამიროვი.

საინტერესო სპორტული ბრძოლით აღინიშნა პირველ საშუალო წონაში ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოკრივის გ. დარბაისელისა და რ. სარქისოვის შეხვედრა. დარბაისელის ძლიერ დარტყმებს სარქისოვი ენერგიული დაცვით პასუხობდა, მიუხედავად ამისა გამოცდილი მოკრივის უპირატესობა ცხადი იყო. პირველი ადგილი ამ წონით კატეგორიაში დარბაისელმა მოიპოვა. მეორე საშუალო წონაში ჩემპიონი გახდა ნ. დარბაისელი, რომელსაც ფინალური დღისათვის უზრუნველყოფილი ჰქონდა პირველი ადგილი.

ქვემძიმე წონის მოკრივე თ. მიქაელიანი (თბილისი) ცნობილია ძლიერი დარტყმებით. ფინალური შეხვედრის პირველ რაუნდში მან სტალინირელ კოჩიევს მიაყენა ასეთი დარტყმა. შესვენების შემდეგ უპირატესობა კვლავ მიქაელიანის მხარეს იყო. მესამე რაუნდში თავით დარტყმისათვის კოჩიევი მოიხსნა შეხვედრიდან. გამარჯვება მიქაელიანს მიეკუთვნა.

მძიმე წონაში ქ. ბაბახანიდმა მეორე რაუნდში ნოკაუტით მოუგო შეხვედრა რ. ღვედაშვილს და ჩემპიონობა მოიპოვა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ, რესპუბლიკის ჩემპიონები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.



★

საქართველოს ჩემპიონები კრივში. (მარცხნიდან მარჯვნივ) რ. კალაჯევი, გ. ხანუკაშვილი, ლ. ანდღულაძე, ქ. ზუბიაშვილი, ფ. ლომიძე, ქვევით — გ. შამიროვი, გ. დარბაისელი, ნ. დარბაისელი, თ. მიქაელიანი და ქ. ბაბახანიდი.

სურათებზე: საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივე სპორტის ოსტატი ნ. დარბაისელი უტევს სულაბერიძეს (ქუთაისი). მარჯვნივ — სპორტის ოსტატ მიქაელიანისა და ახალგაზრდა მოკრივის ბაბახანიდის შეხვედრის ერთი მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

★

სსრ კავშირის პროკურატურაში

1953 წლის 26 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, განიხილა რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობა ლ. პ. ბერიას, როგორც უცხოეთის კაპიტალის აგენტის, დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ, რომლის მიზანი იყო ძირი გამოეთხარა საბჭოთა სახელმწიფოსათვის, დაადგინა: მოიხსნას ლ. პ. ბერია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტიდან და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან და მიცემულ იქნას ბერია სასამართლო პასუხისგებაში. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1953 წლის 8 აგვისტოს დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულება.

ამჟამად სსრ კავშირის პროკურატურამ დაამთავრა სამშობლოს მოღალატე ლ. პ. ბერიას საქმის გამოძიება.

გამოძიებით გამოირკვა, რომ ბერიამ, იყენებდა რა თავის მდგომარეობას, შეაკოწიწა საბჭოთა სახელმწიფოსადმი მტრული შეთქმულთა მოღალატური ჯგუფი, რომელიც თავის დანაშაულებრივ მიზნად ისახავდა გამოეყენებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მთავრობის წინააღმდეგ უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისათვის და რომელიც ისწრაფოდა თავისი ვერაგული ზრახვებით შინაგან საქმეთა სამინისტრო დაეყენებინა პარტიასა და მთავრობაზე მაღლა, რათა ხელში ჩაეგდო ძალაუფლება და მოესპო საბჭოთა მუშურ-გლეხური წყობილება კაპიტალიზმის რესტავრაციისა და ბურჟუაზიის ბატონობის აღდგენის მიზნით.

შეთქმულთა მოღალატური ჯგუფის აქტიური მონაწილეები იყვნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის—შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში მრავალი წლის ერთობლივი დანაშაულებრივი საქმიანობით ბერიასთან დაკავშირებული ბრალდებულები: სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი, ხოლო ბოლო დროს სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის მინისტრი ვ. ნ. მერკულოვი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ერთ-ერთი სამმართველოს ყოფილი უფროსი, ხოლო ბოლო დროს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. გ. დეკანოზოვი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ყოფილი მოადგილე, შემდეგ სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე, ხოლო ბოლო დროს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ. ზ. ქობულოვი, საქართველოს სსრ ყოფილი შინაგან საქმეთა კომისარი, ხოლო ბოლო დროს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი ს. ა. გოგლიძე, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ერთ-ერთი სამმართველოს ყოფილი უფროსი, ხოლო ბოლო დროს უკრაინის სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი პ. ი. მეშიკი და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან საქმეთა საგამომძიებლო ნაწილის ყოფილი უფროსი ლ. ე. ვლოძიმირსკი.

მრავალი წლის განმავლობაში ბერია და მისი თანამზრახველნი გულდასმით ნიღბავდნენ და მალავდნენ თავიანთ მტრულ მოღალატურ საქმიანობას. ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როცა რეაქციულმა იმპერიალისტურმა ძალებმა გააქტიურეს ძირგამომთხრელი საქმიანობა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ბერიამ დააჩქარა მოქმედება თავისი დანაშაულებრივი მიზნების მისაღწევად, უწინარეს ყოვლისა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების გამოყენების გზით ხელისუფლების დასაპყრობად, რის მეოხებითაც მოკლე ხანში გამომჟღავნდა სამშობლოს მოღალატის ნამდვილი სახე და მიღებულ იქნა გადამწყვეტი ზომები მისი მტრული საქმიანობის აღსაკვეთად.

გახდა რა 1953 წლის მარტში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, ბერიამ გამალებით დაიწყო შეთქმულთა ჯგუფის მონაწილეების დაწინაურება მთელ რიგ ხელმძღვანელ თანამდებობებზე შინაგან საქმეთა სამინისტროში. შეთქმულნი ავიწროებდნენ და დევნიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს პატიოსან მუშაკებს, რომლებიც უარს ამბობდნენ შეესრულებინათ ბერიას დანაშაულებრივი განკარგულებანი.

საკოლმეურნეო წყობილებისათვის ძირის გამოთხრისა და ჩვენს ქვეყანაში სასურსათო სიძნელეთა შექმნის მიზნით, ბერია ყოველგვარი საშუალებით საბოტაჟს უწევდა, ხელს უშლიდა პარტიისა და მთავრობის იმ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეურნეობის აღმავლობა, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება.

აგრეთვე გამორკვეულია, რომ ბერიამ და მისმა თანამონაწილეებმა განახორციელეს დანაშაულებრივი ღონისძიებანი იმისათვის, რომ გამოეცოცხლებინათ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტების ნაშთები მოკავშირე რესპუბლიკებში, დაეთესათ მტრობა და განხეთქილება სსრ კავშირის ხალხებს შორის და უწინარეს ყოვლისა ძირი გამოეთხარათ დიდ რუს ხალხთან სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისათვის.

ბერია და მისი თანამზრახველები, რომლებსაც სსრ კავშირში არ ჰქონდათ რაიმე სოციალური დასაყრდენი, თავიანთ დანაშაულებრივ ვარაუდებს ამყარებდნენ იმაზე, რომ შეთქმულებას მხარს დაუჭერდნენ რეაქციული იმპერიალისტური ძალები საზღვარგარეთიდან.

როგორც ახლა გამოძიებით გამოირკვა, ბერიამ უცხოეთის დაზვერვებთან კავშირი დაამყარა ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის პერიოდში. 1919 წელს ბერიამ ბაქოში ყოფნის დროს გამცემლობა ჩაიდინა, დაიკავა რა საიდუმლო-აგენტურული თანამდებობა აზერბაიჯანის კონტრრევოლუციური მუსავატისტური მთავრობის დაზვერვაში, რომელიც ინგლისის დაზვერვის ორგანოების კონტროლით მოქმედებდა. 1920 წელს ბერიამ საქართველოში ყოფნის დროს კვლავ ჩაიდინა მოღალატური აქტი, ფარული კავშირი დაამყარა რა საქართველოში მენშევიკურ საიდუმლო პოლიციასთან, რომელიც ინგლისის დაზვერვის ფილიალი იყო.

გამოძიებით გამოირკვა, რომ შემდგომ წლებშიც ბერიას ჰქონდა და აფართოებდა თავის ფარულ დანაშაულებრივ კავშირს უცხოეთის დაზვერვებთან მათ მიერ შემოგზავნილი ჯაშუშების მეშვეობით, ამასთან იგი ზოგჯერ ახერხებდა გადაერჩინა ეს ჯაშუშები მხილებისა და დამსახურებული სასჯელისაგან.

მოქმედებდა რა, როგორც სამშობლოს მოღალატე და ჯაშუში, რომელმაც თავი მიჰყიდა უცხოეთის დაზვერვებს, ბერიას მთელი თავისი დანაშაულებრივი საქმიანობის მანძილზე, თავის თანამზრახველთა დახმარებით, ფარული კავშირი ჰქონდა აგრეთვე კონტრრევოლუციონერ ქართველ ემიგრანტ-მენშევიკებთან, უცხოეთის მთელ რიგ დაზვერვათა აგენტებთან.

გულმოდგინედ ფარავდა და ნიღბავდა რა თავის დანაშაულებრივ წარსულსა და უცხო სახელმწიფოთა დაზვერვებთან მტრულ კავშირს, ბერიამ ძირითად მეთოდად აირჩია ცილისწამება, ინტრიგები, სხვადასხვა პროვოკაცია პატიოსანი პარტიული და საბჭოთა მუშაკების წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიდნენ მას შეესრულებინა საბჭოთა სახელმწიფოსადმი თავისი მტრული ზრახვები და შეპარულიყო ხელისუფლებაში.

გაძვრნენ რა ამ დანაშაულებრივი მეთოდების საშუალებით პასუხსაგებ პოსტებზე ამიერკავკასიასა და საქართველოში, ხოლო შემდეგ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროში და ამზადებდნენ რა ღალატის მიზნით ძალაუფლების ხელში ჩაგდების გეგმებს, ბერია და მისი თანამზრახველები უსწორდებოდნენ მათთვის არასასურველ ადამიანებს, არ ერიდებოდნენ თვითნებობისა და უკანონობის აქტებს, საზიზღრად ატყუებდნენ პარტიასა და სახელმწიფოს.

გამოძიებით გამორკვეულია ბერიას მთელი რიგი დანაშაულებრივი მაქინაციები, რომლებითაც მას სურდა კარიერისტული მიზნების მიღწევა და მისი მტრული სახის მხილების თავიდან აცილება. მაგალითად, გამოძიებით გამორკვეულია, რომ თავისი გამცემლური მიზნების მისაღწევად ბერია მთელი რიგი წლების მანძილზე თავისი თანამზრახველების დახმარებით დანაშაულებრივ ინტრიგანულ ბრძოლას ეწეოდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის სერგო ორჯონიკიძის წინააღმდეგ, მიაჩნდა რა იგი ისეთ ადამიანად, რომელიც მისი შემდგომი წინსვლისა და მტრული ზრახვების განხორციელებას დაბრკოლებას წარმოადგენდა. როგორც ახლა გამორკვეულია, სერგო ორჯონიკიძე პოლიტიკურად არ ენდობოდა ბერიას. სერგო ორჯონიკიძის გარდაცვალების შემდეგ შეთქმულები განაგრძობდნენ მისი ოჯახის წევრებისადმი სასტიკ შურისძიებას.

გამოძიებით გამორკვეულია ისეთი ფაქტებიც, როცა შეთქმულები სჩადიოდნენ იმ პირთა ტერორისტულ მკვლელობას, რომელთაგანაც მოელოდნენ მხილებას. მაგალითად, ბერიამ და მისმა თანამონაწილეებმა მოკლეს მ. ს. კედროვი — კომუნისტური პარტიის წევრი 1902 წლიდან, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის პრეზიდიუმისა და გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიის ყოფილი წევრი ფ. ე. ძერჟინსკის დროს. შეთქმულებს საფუძველი ჰქონდათ ეჭვი მიეტანათ კედროვზე, რომ მას მოეპოვებოდა მასალები ბერიას დანაშაულებრივი წარსულის შესახებ. გამორკვეულია აგრეთვე ტერორისტული მკვლელობის სხვა ფაქტები, რომლებიც შეთქმულებმა ჩაიდინეს პატიოსანი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საქმისადმი ერთგული კადრების გაჟლეტის დანაშაულებრივი მიზნით.

როგორც გამოძიებით გამოირკვა, ბერიამ და მისმა თანამზრახველებმა ჩაიდინეს მთელი რიგი მოღალატური აქტები, ცდილობდნენ რა შეესუსტებინათ საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა.

გამოძიების მასალებით დამტკიცებულია, რომ შეთქმულთა ჯგუფის მონაწილეებმა — ბრალდებულებმა მერკულოვმა, დეკანოზოვმა, ქობულოვმა, გოგლიძემ, მეშიკმა და ვლოძიმირსკიმ, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ბერიასთან მრავალი წლის ერთობლივი დანაშაულებრივი საქმიანობით, ასრულებდნენ რა ბერიას ყოველ დანაშაულებრივ დავალებას, ეხმარებოდნენ რა მას დაემალა და შეენიღბა თავისი დანაშაულებრივი წარსული, ჩაიდინეს ზემოთაღნიშნული მთელი რიგი უმძიმესი სახელმწიფო დანაშაულობანი.

ამრიგად, გამორკვეულია, რომ ბრალდებულები ბერია, მერკულოვი, დეკანოზოვი, ქობულოვი, გოგლიძე, მეშიკი და ვლოძიმირსკი, რომლებმაც უღალატეს სამშობლოს, მოქმედებდნენ როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტურა, როგორც საბჭოთა ხალხის უბოროტესი მტრები.

გამოძიებით გამორკვეულია აგრეთვე ბერიას მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულობათა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ მის დიდ მორალურ დაცემას, და, გარდა ამისა, ბერიას მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ანგარებითი მოქმედებისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები.

მხილებულ იქნენ რა გამოძიებაზე მრავალი მოწმის ჩვენებით და ნამდვილი დოკუმენტალური მონაცემებით, ბრალდებულებმა თავი დამნაშავედ ცნეს მთელ რიგ უმძიმეს სახელმწიფოებრივ დანაშაულობათა ჩადენაში.

ბერია მიცემულია სამართალში, ბრალად ედება რა სამშობლოს ღალატი, ანტისაბჭოთა შეთქმულების მოწყობა, ტერორისტული აქტების ჩადენა, აქტიური ბრძოლა მუშათა კლასისა და რევოლუციური მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, რაც მან გამოიჩინა საიდუმლო-აგენტურულ თანამდებობაზე კონტრრევოლუციური მუსავატისტური მთავრობის დაზვერვის ორგანოებში სამოქალაქო ომის პერიოდში, ესე იგი დანაშაულობანი, რომლებიც გათვალისწინებულია რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ“, 58-8, 58-13, 58-11 მუხლებით.

მერკულოვი, დეკანოზოვი, ქობულოვი, გოგლიძე, მეშიკი და ვლოძიმირსკი მიცემული არიან სამართალში, ბრალად ედებათ რა სამშობლოს ღალატი, ტერორისტული აქტების ჩადენა და შეთქმულთა კონტრრევოლუციურ, მოღალატურ ჯგუფში მონაწილეობა, ესე იგი დანაშაულობანი, რომლებიც გათვალისწინებულია რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ“, 58-8, 58-11 მუხლებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესაბამისად, საქმე ბერიას, მერკულოვის, დეკანოზოვის, ქობულოვის, გოგლიძის, მეშიკისა და ვლოძიმირსკის ბრალდების შესახებ განხილულ უნდა იქნას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულოს მიერ იმ წესით, რომელიც დადგენილია 1934 წლის 1 დეკემბრის კანონით.

ხარისხსა და ასორტიმენტზე

დღითიდღე იზრდება ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა ოსტატობა. ამასთან ერთად იზრდება მათი მოთხოვნები სპორტინვენტარის ხარისხსა და ასორტიმენტზე. კარგად დამზადებულ სპორტინვენტარს დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტსმენის ოსტატობის შემდგომი ამაღლებისათვის.

სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის საგეგმო და სავაჭრო ორგანიზაციებს წარმოდგენაც კი არა აქვთ, თუ რა სჭირდება სპორტსმენს. ამ ორგანიზაციების მუშაკებმა არ იციან საქართველოს რომელ კუთხეში სპორტის რა სახეობაა განვითარებული და სწორედ ამის გამო სპორტული ფორმისა და ინვენტარის განაწილებაში ხშირად აქვს ადგილი კურიოზებს.

მოვიყვანოთ მაგალითები: თბილისში და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა ქალაქში არ შეიძლება საერთაშორისო ტიპის შტანგების შოვნა. თბილისში რამდენიმე ძალოსნურმა სექციამ შეწყვიტა არსებობა მათთვის საჭირო ინვენტარის უქონლობის გამო. ხოლო ქუთაისისა და თელავის მაღაზიების ვიტრინებში წლობით დევს თბილისელთათვის სანატრელი შტანგა. ცხადია, რაიონულ ორგანიზაციებს არა აქვთ ასეთი ძვირი ინვენტარის შეძენის შესაძლებლობა. ნაკლები ღირებულების შტანგებს კი, რომელსაც რაიონული ბიუჯეტი ადვილად აითვისებს, შეხვდებით მხოლოდ თბილისში.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირის ქალაქებში სისტემატურად ტარდება სოფლის ძალოსანთა კონკურსები. თვით სახელწოდება ამ შეჯიბრებისა გვიჩვენებს, რომ აქ ლაპარაკია სოფლის ახალგაზრდობაზე. ერთ და ორფუთიანი გირებით რაიონების მომარაგება ძალოსნობის ამ სახეობის განვითარების აუცილებელი პირობაა. სამწუხაროდ, ამ გირების შოვნა შეიძლება (ისიც მცირე რაოდენობით) მხოლოდ თბილისში.

ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობაში საკმაოდ ფართოდ დაინერგა საფარიკაო სპორტი. საკავშირო შეჯიბრებათა სარბიელზე საქართველოს ჭაბუკები და გოგონები კარგ შედეგებს აღწევენ. მაგრამ თუ დაინტერესდებით ფარიკაობის სექციების მეცადინეობით, ნახავთ, რომ სპორტსმენები ვარჯიშობენ გატეხილი, თოკით დამაგრებული, ან უკეთეს შემთხვევაში რამდენიმე ადგილას შედუღებული რაპირებით. მიუხედავად იმისა, რომ რაპირის ღერო სულ რაღაც 10 მანეთი ღირს, მისი შოვნა შეუძლებელია; გასაყიდათ ვერ შეხვდებით ვერც დაშნას. სწორედ ამიტომ საკავშირო შეჯიბრებების დროს საქართველოს წარმომადგენლები საფარიკაო ინვენტარს სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებისაგან ნათხოვრობენ.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორი პოპულარობით სარგებლობს საქართველოში ჭიდაობა: კლასიკური, თავისუფალი, სამბო, ქართული. გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ ფიზკულტურული ორგანიზაციები საჭიდაო ლეიბების დიდ ნაკლებობას განიცდიან. იმ შემთხვევაშიც კი, როცა რომელიმე ორგანიზაციას ბედი ეწევა და შეიძენს 1.400 მანეთად ღირებულ ლეიბს, არანაკლებ პრობლემად იქცევა მასზე გადასაფარებელი ნაჭრის შოვნა.

რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების წინაშე დასახულია ამოცანები, უმოკლეს ხანში აღმოფხვრან მძლეოსნობის განვითარებაში არსებული ნაკლოვანებები. მაგრამ პირველხარისხოვანი სპორტული ინვენტარის გარეშე, როგორ უნდა მომზადდეს მძლეოსანი? სპრინტერისათვის აუცილებელი შიპებიანი ფეხსაცმელი ერთი გარბენის შემდეგ უკვე გამოუსადეგარია (ძვრება შიპები და სხვ.). საქართველოში არ შეიძლება სახტომი ჭოკების შოვნა, და ეს იმ დროს, როდესაც ჩვენი რესპუბლიკა ბამბუკით ამარაგებს სხვა რესპუბლიკებს.

იმისათვის, რომ ორძელისათვის ძელები ეშოვნა, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სპეციალურად კაცი მიავლინა ხარკოვში. იქ კი ძელები საქართველოში მოჭრილ ხისაგან გააკეთეს და გამოგზავნეს (!). სრულებით არ იშოვნება ან დაბალი ხარისხისაა კალათბურთის, ფრენბურთის ბურთები. ვაივაგლახით ნაშოვნი ბურთი პირველსავე ვარჯიშის შემდეგ ფორმას კარგავს და ოვალს ემსგავსება. კალათბურთის კალათზე ჩამოსაკიდი და ფრენბურთის ბადეები რესპუბლიკაში არ იშოვება, ამ დროს კი რესპუბლიკის საწარმოები უშვებენ პირველხარისხოვან ჰამაკებს და სურსათისათვის განკუთვნილ დაწნულ ჩანთებს. ნუთუ ბადეების გაკეთება ასე ძნელია?

არის სპორტინვენტარის ერთი ნაწილი, რომლის შოვნა შეიძლება რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციებში. მაგრამ საკითხავია, როგორი ხარისხისაა ეს ინვენტარი? მაღაზიებში უხვად შეხვდებით მაისურებსა და ტრუსებს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ისინი ერთი და იგივე ფერისანი არიან, (წითელი, ცისფერი ან იასამნისფერი). საჭიროა სავაჭრო ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები დაუკავშირდნენ სპორტულ საზოგადოებებს, აიღონ მათგან სპორტული ფორმის ნიმუშები და მათ შესაბამისად დაამზადონ საქონელი.

თბილისისა და სხვა რაიონების მაღაზიებში უხვად არის ციგურებით სრიალისათვის საჭირო ფეხსაცმელი. საკითხავია, რა ისეთ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ეს ფეხსაცმელი საქართველოსათვის, სადაც საციგურო სპორტის განვითარებისათვის არ არის ბუნებრივი პირობები და, პირიქით, რატომ არ უნდა იყოს შესაძლებელი ძალოსანთა სპორტინვენტარის შოვნა. ნუთუ სამარცხვინო არ არის ის ფაქტი, რომ საქართველოს ძალოსანთა ნაკრები გუნდი (სულ 7 კაცი) საკავშირო პირველობაზე ერთნაირი ფორმით ვერ გამოვიდა?

ამ საჭირბოროტო საკითხის გადაჭრისათვის უკვე მომწიფდა სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და მომხმარებელთა შეხვედრის საკითხი.

ბოლოს ერთი შენიშვნაც: რესპუბლიკაში ცუდადაა დაყენებული სპორტინვენტარის შეკეთების (რემონტი) საქმე. ამ საქმეს არც ერთი ორგანიზაცია არ ჰკიდებს ხელს. მაგალითად, საჭიდაო და ტანვარჯიშული ლეიბები განსაზღვრული დროის შემდეგ უნდა დაირღვეს, გაირეცხოს... ორი წელია, რაც სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზაღზრდის კათედრა სათანადო ორგანიზაციებს თხოვს შეასრულონ ეს სამუშაოები, მაგრამ ამაოდ.

საჭიროა თბილისში შეიქმნას ორგანიზაცია, რომელიც გაუძღვება სპორტინვენტარის რემონტის საქმეს.

ქ. ზაუტაშვილი,
სპორტის ოსტატი.

ფეხბურთის სეზონის შემდეგ

1953 წლის საფეხბურთო სეზონში
ნი რესპუბლიკის გუნდებმა მთელ
წარმატებებს მიაღწიეს საკავში-
შეჯიბრებებში. თბილისის „დი-
მო“ საბჭოთა კავშირის პირველო-
ი მეორე საპრიზო ადგილი დაიკა-
თბილისის „სპარტაკი“ „ბ“ კლა-
პირველ ქვეჯგუფში პირველ ად-
ზე გამოვიდა, საქართველოს ჭა-
თა ნაკრებმა გუნდმა (მწვრთნელი
რტის დამსახურებული ოსტატი ა.
ნაძე) გაიმარჯვა მოზარდ ფეხბურ-
ლთა საკავშირო შეჯიბრებაში, სა-
თველოს კოლმეურნე ფეხბურ-
ლებმა (მწვრთნელი სპორტის ოს-
ტი ვ. ბერეჟნოი) საკავშირო შე-
ბრებაში მეორედ მოიპოვეს მეო-
ადგილი, „ნორჩი დინამოელის“
კავშირო პირველობაზე თბილისის
ნდმა (მწვრთნელი სპორტის დამ-
ხურებული ოსტატი გ. გაგუა) მეო-
დ მოიპოვა გამარჯვება, „ტრუდი-
“ და „მედიკის“ ცენტრალური საბ-
ს პირველობაზე პირველი ადგი-
ები დაიკავეს ტ. ტ. ს-ის (მწვრთნე-
ს. სიხარულიძე) და თბილისის
დიკის“ (მწვრთნელი კ. მესხი)
ნდებმა.
წელს მოეწყო მრავალი რესპუბლი-
რი შეჯიბრება, რომლებშიც ქალა-
ბისა და რაიონების 70 გუნდი მო-
წილეობდა. ამ შეჯიბრებებიდან
ლაზე მნიშვნელოვანი იყო საქარ-
ლოს სსრ 1953 წლის პირველობა.
სპუბლიკის ჩემპიონის წოდება,
გორც გასულ წელს, მოიპოვა თბი-
სის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამ-
რთველოს გუნდმა. მეორე ადგილ-
გამოვიდა „დინამო“ (ბათუმი), მე-
მეზე — „დინამო“ (ქუთაისი).
მეორე ჯგუფის გუნდების ტურ-
რში გამარჯვება მოიპოვეს რუსთა-
„მეტალურგმა“ (მწვრთნელი ი.
რჭულაძე) და ფოთის ნაკრებმა
ვრთნელი გ. ხოფერია). ეს გუნ-
ბი მომავალ წელს პირველ ჯგუფ-
ითამაშებენ. „შახტიორმა“ (ტყი-
ლი), „სტროიტელმა“ (რუსთავი),
რლისა და ქარელის რაიონების
რებმა გუნდებმა თავიანთ ზონებ-
გაიმარჯვეს და მომავალ წელს
ორე ჯგუფში ითამაშებენ. საქარ-
ლოს სსრ-ს თასი მოიგო ქუთაისის
ინამომ“ (მწვრთნელი ს. ნინუა),
უკ ფეხბურთელთა რესპუბლიკურ
თამაშებაში დიდ წარმატებას მიაღ-
აჭარის ნაკრებმა გუნდმა
ვრთნელი სპორტის ოსტატი ბ.
ოლოვი), რომელმაც დამსახურე-
ლად დაიკავა პირველი ადგილი.
ასეთია რესპუბლიკის სხვადასხვა
ჯიბრების შედეგები. მაგრამ მთა-
რი ის კი არ არის, თუ რომელი
გილი დაიკავა შეჯიბრებაში, არა-
დ ჩვენი ფეხბურთელების ტექნი-
რი, ტაქტიკური, ფიზიკური და
რალური მომზადების დონე. უნდა
ქვას, რომ ამ მხრივ ყველაფერი არ
რის რიგზე. ჯერ კიდევ დაბალია
ეხბურთელების ტექნიკური და
ქტიკური მომზადება, მნიშვნელოვ-
დ მოიკოჭლებს დისციპლინა.
ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ
გუნდებში საჭირო ყურადღება არ ექ-
ვა მოთამაშეთა ფიზიკურ მომზა-
ებას. გუნდები ხშირად ბოლომდე
რ უძლებენ ტემპს, მეორე ნახე-
რში თამაშობენ უფერულად. ჩვენი
ეხბურთელები ჯერ კიდევ ჩამორ-
ბიან ტექნიკური მომზადების
რივ, ისინი განსაკუთრებით სუსტად
რიან დაუფლებული კარში დარტყ-
ას, თავით თამაშს, ბურთის დამუშა-
ებას, გადაცემის სიზუსტეს, ცრუ
მოძრაობათა შესრულებას. ფეხბურ-
ელები განსაკუთრებით სცოდავენ
დ სისწრაფეზე თამაშისას. თავ-
დამსხმელთა უმეტესობა მცველთან
პირისპირ შეხვედრისას იბნევა, ცდი-
ლობს ადრე მოიცილოს ბურთი, მა-
შინ, როცა იგი უნდა ცდილობდეს
მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში გა-
რჯვებას. არსებითად ეს არის სიმ-
ელე — პასუხისმგებლობის თავი-
დან აცილების სურვილი. ჩვენი მწვრთნელები სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ ამ ნაკლის გამომწვევ მიზეზებს და ყველა ზომა იხმარონ იმისათვის, რომ თავდამსხმელს შეეძლოს მცველთან ინდივიდუალური ბრძოლის წარმოება.

განვლილ სეზონში ყველა პირობა იყო შექმნილი იმისათვის, რომ გუნდებს ჰქონოდათ სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ნორმალური პირობები. ამის გათვალისწინებით იყო შედგენილი კალენდარიც. მაგრამ ეს შესაძლებლობანი მწვრთნელებმა სათანადოდ ვერ გამოიყენეს.

პრაქტიკული საქმიანობის დროს ჩვენი მწვრთნელები ხშირად უგულებელყოფენ ფეხბურთელების მრავალმხრივი მომზადების პრინციპს, მეცადინეობას ატარებენ ფეხბურთელთა დიდ ჯგუფებთან, ყურადღებას არ აქცევენ ინდივიდუალურ წვრთნას.

წლევანდელ სეზონს არაფერი ახალი არ მოუცია ტაქტიკის მხრივ. განვლილ შეჯიბრებებში იშვიათად ნახავდით თავდამსხმელთა გააზრებულ მანევრირებას მოედნის მთელ სიგანეზე და ადგილების ცვლას, ურთიერთმოქმედებას დაცვაში, ნახევარდამცველთა აქტიურ თამაშს მოწინააღმდეგის ნახევარზე და ა. შ. გუნდების უმეტესობას არა აქვს მოქნილი ტაქტიკა, არ ძალუძს თამაშის პროცესში შეცვალოს სამოქმედო გეგმა, გამიზნულად შეათანხმოს შეტევითი და დაცვითი ვარიანტები. თითქმის არაფერი ახალი არ უჩვენებიათ მეკარეებს. ბევრ მათგანს პანიკურად ეშინია კარიდან გამოსვლის, ცუდად ირჩევს პოზიციას, არ ხელმძღვანელობს დაცვის მოქმედებას.

დაცვის თამაშში იგრძნობა არასაკმარისი ურთიერთგაგება და დაზღვევა. მცველები ჯერ კიდევ მაღალი, უმისამართო ბურთებით თამაშობენ.

ნახევარმცველები მეტწილად თამაშობენ თავის ნახევარზე და იშვიათად გადადიან იერიშზე. მათთვის დამახასიათებელია ბურთის ზედმეტი გაჩერება, უაზროდ ტარება და ინდივიდუალური თამაში.

როგორც აღვნიშნეთ, თავდამსხმელები შეტევისას თითქმის აღარ იცვლიან ადგილებს, ძლიერ ცუდად ურტყამენ კარში სხვადასხვა მდგომარეობიდან, მოწინააღმდეგის კარის სიახლოვეს ვერ იყენებენ დრიბლინგს და ფინტებს. ამის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ ფეხბურთელები სისტემატურად და გულდასმით არ ვარჯიშობენ, მწვრთნელები კი ნაკლებად ზრუნავენ ამ ნაკლის აღმოფხვრაზე. ვარჯიშები არაა აგებული თამაშთან მიახლოებულ პირობებში. მაგალითად როგორ ვარჯიშობს თავდამსხმელი კარში დარტყმაზე? მიიღებს კარის სიახლოვეს ბურთს, გასწორებს და მერე ურტყამს. მას არავინ უშლის ხელს, მაგრამ განა ოდესმე ექნება მას ასეთი მდგომარეობა თამაშში? რა თქმა უნდა, მეცადინეობა „სათბურის“ პირობებში სასურველ ნაყოფს არ მოიტანს.

ჩვენი რესპუბლიკის კლიმატური პირობები 9-10 თვის განმავლობაში ღია ცის ქვეშ ვარჯიშის საშუალებას იძლევა. კოლექტივები კი ამ შესაძლებლობებს არ იყენებენ, არ აწარმოებენ სრულწლიან წვრთნას.

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოწინავეთა გამოცდილების გაზიარებას, მოძველებული მეთოდების ახლით შეცვლას. ამ მიმართებით ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს მწვრთნელთა საბჭოს (თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. გალპერინი) 1953 წლის განმავლობაში არაფერი გაუკეთებია, არც ერთი მეთოდური მითითება არ გამოუმუშავებია.

ჯერ კიდევ მცირეა ახალგაზრდა მოთამაშეთა პროცენტი რესპუბლიკის მოწინავე გუნდებში. მწვრთნელებს რატომღაც ეშინიათ შეიყვანონ გუნდის შემადგენლობაში ახალგაზრდა მოთამაშე. სწორედ მოიქცნენ გორის, სტალინირის და ფოთის გუნდები, როცა თავიანთი რიგები ახალგაზრდა მოთამაშეებით შეავსეს. მაგრამ ქუთაისის, ხაშურის, ბათუმის, ბორჯომისა და სხვა გუნდებში განაგრძობენ თამაშს ფეხბურთელები, რომელთაც უკვე კარგა ხანია არა აქვთ ზრდის პერსპექტივა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფეხბურთში, როგორც სპორტის სხვა სახეობებში, მომავალი ახალგაზრდობას ეკუთვნის, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჭაბუკთა ფეხბურთს. ჩვენი რესპუბლიკის სკოლებში კი ფეხბურთს სათანადო ყურადღება არ ეთმობა.

მისაბაძია „ნორჩი დინამოელის“ ფეხბურთელთა გუნდის მუშაობა. „დინამო“ ერთადერთი სპორტსაზოგადოებაა, რომელიც სერიოზულად მუშაობს ჭაბუკთა შორის. მოკლე დროის მანძილზე თბილისის „ნორჩმა დინამოელმა“ ორჯერ გაიმარჯვა საკავშირო შეჯიბრებაში და თბილისის სასკოლო პირველობაზე ახლახან დაიკავა პირველი ადგილი. ფინალში მან დიდი ანგარიშით — 5:0 — დაამარცხა ვაჟთა 35-ე სკოლის გუნდი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაუარესდა მუშაობა ვაჟთა 35-ე სკოლაში. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ამ გუნდმა ვერ შეძლო რესპუბლიკის ჩემპიონობის მოპოვება. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სათანადო ორგანოებმა მეტი კონტროლი უნდა გაუწიონ სპორტულ მუშაობას ამ სკოლაში, ხოლო რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის მთავარი სამმართველოს მწვრთნელთა საბჭომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს სკოლის მწვრთნელთა საქმიანობაში.

შეუწყნარებლად დაბალ დონეზე დგას პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა ფეხბურთელებთან. სეზონის განმავლობაში ხშირად ჰქონდა ადგილი ფეხბურთელების უხეშობას, უდისციპლინობას, სამეცადინო რეჟიმის დარღვევას. საბჭოთა სპორტსმენის სახელს არცხვენდნენ მაიაკოვსკის, დუშეთის, ბოგდანოვკის რაიონების ფეხბურთელები. დისციპლინის ხშირ დარღვევას ჰქონდა ადგილი ზესტაფონის, თელავის, გურჯაანის გუნდებში. ჯერ კიდევ ადგილი აქვს ფეხბურთელთა შორის თვითკმაყოფილებას. თქმა არ უნდა, ამან გავლენა მოახდინა თბილისის „დინამოს“ წარუმატებლობაზე საერთაშორისო შეხვედრებში. გუნდის ბრძოლისუნარიანობაზე უარყოფითად იმოქმედა მატჩებში მოთამაშეთა შემადგენლობის ხშირმა ცვლამაც.

ფეხბურთის შემდგომ განვითარებას სერიოზულად უშლის ხელს ფეხბურთის მოედნების მწვავე ნაკლებობა რაიონებში და განსაკუთრებით თბილისში.

ფეხბურთის მატჩების სამსაჯოდ წელს ჩაბმულ იქნა აქტივი საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან. ბევრი მათგანი ძირითადში წარმატებით ართმევდა თავს ძნელ ამოცანას და მაღალ სპორტულ დონეზე ატარებდა თამაშებს. მაგრამ ეს არ კმარა. მსაჯთა კადრები რაიონებში არაა საკმარისი და რესპუბლიკურმა მსაჯთა კოლეგიამ მეტი დახმარება უნდა აღმოუჩინოს პერიფერიების მსაჯთა კოლეგიებს.

ჩვენს რესპუბლიკაში ფეხბურთის მასობრივად განვითარებისა და კლასის ამაღლების საქმეში ჯერ კიდევ მრავალი ხარვეზია. ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა სისტემატური, სერიოზული მუშაობით უახლოეს ხანში აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი.

მსოფლიო პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში

ჩილეში გაემგზავრა საბჭოთა სპორ-
ული დელეგაცია თანამედროვე
ხუთჭიდის საკავშირო სექციის თავმ-
ჯდომარის ამხ. ლოგოფეტის ხელმძ-
ვანელობით. საბჭოთა დელეგაციამ
მონაწილეობა მიიღო თანამედროვე
ხუთჭიდის საერთაშორისო კავშირის
(უიპმ) მუშაობაში.
უიპმ-ს კონგრესმა თავის სხდომებ-
ზე განიხილა 1953 წლის პირველობის
საკითხები და მიიღო გადაწყვეტილება თანამედროვე ხუთჭიდში 1954 წლის მსოფლიო პირველობა ჩაატაროს უნგრეთში. გარდა ამისა, კონგრესზე ტექნიკური კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულ იქნენ საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის წარმომადგენლები.

ჩილის პატარა ქალაქ როკას სანტო-დომინგოში დაიწყო ხუთჭიდელთა პირად-გუნდური მსოფლიო პირველობა, რომელშიც მონაწილეობენ 9 ქვეყნის წარმომადგენლები. სრული გუნდები სამი სპორტსმენის შემადგენლობით წარმოადგინეს უნგრეთმა (გ. ბენედეკი, ი. სონდი და კ. ტაშნადი), შვეციამ, ბრაზილიამ, ურუგვაიმ, ჩილიმ, არგენტინამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ინგლისიდან და შვეიცარიიდან შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს თითო წარმომადგენელი.

შევკრიბოთ, შევისწავლოთ და გამოვიყენოთ

ხალხური თამაშობანი

საკონკურსოდ შემოსული მასალებიდან

„ტყვეობა“

მოთამაშენი რაიმე პირობითი ნიშნებით შემოხაზავენ ან შემოფარგლავენ მოედანს. მოედნის ცენტრში, გვერდითი ხაზის პერპენდიკულარულად, ერთმანეთისაგან 2-3 მეტრის დაშორებით გაავლებენ ორ შუახაზს. უკანა ხაზებზე დაასობენ ჯოხს, რომელზედაც დაკიდებენ რაიმე ნიშანს (ქუდს, ხალათს, პერანგს).

მოთამაშეები გაიყოფიან ორ გუნდად. გუნდის თავები კენჭისყრით ირჩევენ მოედნის ერთ-ერთ მხარეს.

ორივე გუნდის მოთამაშეები განლაგდებიან მოედნის შუახაზზე. თამაში იმაში მდგომარეობს, რომ მოწინააღმდეგენი ცდილობენ შეიჭრნენ მოწინააღმდეგის მოედანზე, მოიტაცონ ქუდი (ან სხვა საგანი, რაც იქნება ჯოხზე დაკიდებული) და თავის მოედანზე გადაიტანონ. შემოჭრილ მოწინააღმდეგეს დამხვდურები „იჭერენ“, სანამ ეს უკანასკნელი მოტაცებულ ჯოხს თავის მოედანზე გადაიტანდეს. „დაჭერა“ უბრალოდ ხდება — ხელის შეხებით. ამ შემთხვევაში მოწინააღმდეგე „ტყვედ“ ვარდება, ე. ი. სადაც ხელს შეახებენ იმ ადგილზე უნდა შეჩერდეს, სანამ მისი ამხანაგები ხელის შეხებითვე არ გაათავისუფლებენ „ტყვეობიდან“. თუ დროზე გათავისუფლებულმა არ გადაასწრო თავის მოედანზე, შეიძლება ისევ „დაატყვევონ“. ამასთან შეიძლება მისი გამათავისუფლებლის „დატყვევებაც“. „ტყვეებს“ უფლება ეძლევათ ერთიმეორის ხელის შეხებით თავი გაითავისუფლონ, ამასთან ისინი უნდა ეცადონ განმეორებით არ „დაატყვევონ“ მოწინააღმდეგეებმა. „ტყვეებს“ უფლება აქვთ გათავისუფლების შემდეგ ქუდი მოიტაცონ.

„ტყვეებმა“ რომ იოლად არ დაიხსნან თავი, შეიძლება მათ „გუშაგები“ დაუყენონ. შესაძლოა „ტყვეების“ გასათავისუფლებლად კი არ წამოვიდეს მათი ამხანაგი, არამედ პირდაპირ ჯოხის მოსატაცებლად. ამ შემთხვევაში იგი მოწინააღმდეგეთა ყურადღებას იპყრობს, რითაც ისარგებლებენ „ტყვეები“, ერთმანეთს გაათავისუფლებენ და შეიძლება კოლექტიური ძალით ჯოხიც მოიტაცონ.

მოთამაშეებს ეკრძალებათ მოედნის ხაზებს გარეთ გასვლა. გასვლის შემთხვევაში გამსვლელი „ტყვედ“ რჩება.

მოთამაშე „ტყვედ“ ითვლება თუ შუახაზებს შორის დატოვებულ ადგილში „დაიჭირეს“. ამ ადგილიდან შეიძლება თავის მოედანზე ძალით შეყვანა და „ტყვედ“ ჩაგდება. ამ შემთხვევაში დასაშვებია მიშველება. არევდარევის დროს მოწინააღმდეგის მოედანზე მოხერხებული შეჭრა, ქუდის მოტაცება და „ტყვეების“ გათავისუფლება დასაშვებია. დაუშვებელია ფეხის წამოდება და ისე დაჭერა, ან რაიმე საგნების სროლა. დასაშვებია მხოლოდ ხელით შეხება.

მოტაცებული ქუდი (ან მისი შემცვლელი სხვა საგანი) რჩება მომტაცებლებთან, რომლებიც მას ინახავენ, მოწინააღმდეგენი კი მოვალენი არიან სხვა მოსატაცებელი ქუდი (ან საგანი) დადგან. მოტაცებული საგნების რაოდენობის მიხედვით ირკვევა გამარჯვებული მხარე.

ეს თამაში ჩაწერილია ჩემს მიერ სოფელ კარდანახში (გურჯაანის რაიონი) 1953 წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

ი. გულაშვილი,
კარდანახის საშუალო სკოლის
ფიზაღზრდის მასწავლებელი.

ბურთის გაპარება

ამ თამაშში მონაწილეობენ როგორც ვაჟები, ისე ქალები, უმთავრესად კი 10-15 წლის ჭაბუკები (ზოგჯერ უფრო მოზრდილებიც).

სათამაშო ინვენტარს წარმოადგენს ნაბდის, ბალნის, ან რეზინის მცირე ზომის ბურთი.

თამაშის ადგილი — ღია მოედანი, მინდორი.

მოთამაშენი იყოფიან ორ თანასწორ ნაწილად (გუნდად). თითეულ გუნდშია 4-5-6 მოთამაშე, დასაშვებია მეტიც.

ერთ გუნდს აქვს ბურთი, რომელიც მან როგორმე უნდა გააპაროს მოწინააღმდეგე გუნდისაგან ფარულად. ბურთი რომელიმე გუნდის წევრს დამალული აქვს უბეში ან ჯიბეში.

მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშენი დარაჯებს წარმოადგენენ. ისინი გზაზე დგებიან და ცდილობენ იპოვნონ ბურთი, აღმოაჩინონ, ვის აქვს დამალული და წაართვან მას. ბურთის გამტაცებელი გუნდის წევრები გარბიან „დედანოსაკენ“ (დედოსაკენ) და თუ მოასწრეს ისე, რომ ბურთი ვერ იქნა აღმოჩენილი და წართმეული, ხელახლა მალავენ ბურთს. თუ ბურთი წაართვეს, მაშინ ის გუნდი, რომელიც ბურთს მალავდა, თვითონ დგება გზაზე დარაჯად, ხოლო მოწინააღმდეგე გუნდს კი მიაქვს ბურთი. დედანოთ იყენებენ ხეს, ქვას, ბუჩქს ან სხვა საგანს.

ეს თამაშობა დამოწმებულია მესხეთის სოფლებში — უდესა და არალაში.

ჩაწერილია ჩემს მიერ სოფ. უდეში მცხოვრებ 64 წლის ანდრო უულიჯანაშვილის თხრობით.

შ. გოგიტიშვილი,

რაიონულ სტენდზე

საქართველოს მონადირეთა კავშირი ყოველწლიურად მართავს ხუთი ქალაქის (თბილისი, სუხუმი, ბათუმი, ქუთაისი, მახარაძე) შეჯიბრებას სასტენდო სროლაში.

წელს კონსტიტუციის თასის გათამაშება მახარაძეში მოხდა. შეჯიბრების პროგრამაში შედიოდა სროლა ადგილიდან — 50 სამიზნეზე, მისვლით — 15-ზე და წყვილი 10-ზე.

პირველი ადგილი დაიკავეს თბილისელებმა პირველთანრიგოსან მსროლელების ზ. მაჩხანელის, ბ. ანტონოვისა და მ. ჩახნაშვილის შემადგენლობით. მეორე ადგილი მიეკუთვნა სუხუმის გუნდს, მესამე — მახარაძის მსროლელებს.

პირად შეჯიბრებაში გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის რეკორდსმენმა ადგილიდან სროლაში ზ. მაჩხანელმა, მეორე ადგილზეა სპორტის ოსტატი დ. ცაგარეიშვილი, მესამეზე — ი. ცომაია.

უნდა აღინიშნოს მახარაძელ სპორტსმენთა დაინტერესება სასტენდო სროლით, რაც შეჯიბრების კარგ ორგანიზებაში გამოიხატა. ახალგაზრდა მახარაძელმა გ. კვაჭაძემ ადგილიდან სროლის ერთ-ერთ სერიაში 25 სამიზნედან 24-ის დაზიანება შეძლო. ამ შეჯიბრებაში ასეთი შედეგი მხოლოდ ზ. მაჩხანელს ჰქონდა.

სასტენდო სროლაში ახალგაზრდობის ჩაბმის საქმეს ნაკლები ყურადღება ექცევა სუხუმში, ბათუმსა და ქუთაისში. ამ ქალაქების გუნდებში წლების მანძილზე ერთსა და იმავე მსროლელებს ვხვდებით.

ვ. ბურჯანაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

შეჯიბრება მსოფლიო რეკორდებით აღინიშნა

სვერდლოვსკში, ძერჟინსკის სახელობის კლუბში, დამთავრდა საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება ძალოსნობაში.

სარბიელზე პირველად გამოვიდნენ მჩატე წონის წარმომადგენლები. საუკეთესო შედეგს ამ წონით კატეგორიაში მიაღწია მოსკოვის გუნდის წევრმა ვ. ვილხოვსკიმ. კლასიკური სამჭიდის ჯამში მან დააგროვა 310 კილოგრამი. მეორე ადგილზე გამოვიდა ი. ვოლჩენკოვი (რსფსრ) — 307,5 კილოგრამი. 305 კილოგრამით შეჯიბრება დაამთავრეს პ. კირშონმა (უკრაინა) და ბ. შუროვსკიმ (ლენინგრადი). კირშონმა აჭიმვაში დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი 99,4 კილოგრამი, რაც 700 გრამით აღემატება მისსავე საკავშირო რეკორდს.

დაძაბული ბრძოლა გაიმართა პირველი ადგილისათვის ქვემსუბუქ წონაში. XV ოლიმპიურ თამაშებზე რ. ჩიმიშკიანმა ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. ნ. საქსონოვი მაშინ მეორე ადგილზე გამოვიდა. მსოფლიო პირველობის გათამაშებში საპატიო პირველი ადგილი წილად ხვდა საქსონოვს. ჩიმიშკიანი მეორე ადგილზე იყო. ამჯერად ჩიმიშკიანმა (საქართველო) შეძლო რევანშის აღება. მის შედეგს სამჭიდის ჯამში — 337 კილოგრამი 500 გრამი, საქსონოვი ჩამორჩა 2,5 კილოგრამით. ჩიმიშკიანმა აჭიმა 97,5 კილოგრამი, აიტაცა — 102,5 კილოგრამი და აჰკრა 137,5 კილოგრამი. საქსონოვის მაჩვენებლებია: აჭიმვა — 90 კილოგრამი, ატაცი — 107,5 კილოგრამი, აკვრა — 137,5 კილოგრამი. ამ წონით კატეგორიაში მაღალი წარმატება ხვდა წილად უკრაინელ ძალოსანს ზ. აბრამოვს. მან აჭიმვაში აჩვენა 103 კილოგრამი და 700 გრამი. ძველი რეკორდი, რომელიც დამყარებულ იქნა 1940 წელს, ეკუთვნოდა სპორტის დამსახურებულ ოსტატ მ. კასიანიკს და 103,15 კილოგრამს უდრიდა.

მსუბუქი წონის ძალოსანთა შორის გაიმარჯვა მოსკოველმა დ. ივანოვმა. მისი შედეგი სამჭიდის ჯამში 375 კილოგრამი (112,5, 117,5, 145) 2,5 კილოგრამით აღემატება მისსავე მსოფლიო რეკორდს. ამავე წონით კატეგორიაში ნ. კოსტილევმა (რსფსრ) ატაცში აჩვენა 120,6 კილოგრამი. ეს შედეგი 500 გრამით აღემატება მსოფლიო რეკორდს.

საშუალო წონაში საინტერესო ბრძოლა გაჩაღდა სპორტის ოსტატ ვ. პუშკარიოვსა (მოსკოვი) და ნ. მერკულოვს (უკრაინა) შორის. კლასიკური სამჭიდის ჯამში ორთავე სპორტსმენმა აჩვენა 400 კილოგრამი. შეჯიბრების პირობების თანახმად პირველი ადგილი მიეკუთვნა მერკულოვს, რომელიც პუშკარიოვზე 250 გრამით ნაკლებს იწონიდა.

სარბიელზე გამოვიდნენ ქვემძიმე წონის ძალოსნები. ატაცში ა. ვოროზბიოვმა (რსფსრ) პირველსავე მოსვლაზე დაძლია 130 კილოგრამი. შემდეგ ცდაზე მან წარმატებით ასწია 140 კილოგრამი და 500 გრამი. ეს შედეგი 500 გრამით აღემატება ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს.

მძიმე წონის ძალოსანთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა ა. მედვედევმა — 430 კილოგრამი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მოსკოველმა ძალოსნებმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში მოიპოვა საბჭოთა არმიის გუნდმა. სურათზე: გამარჯვებული გუნდი.

◆

დაუსწრებელი შეჯიბრება

დამთავრდა დაუსწრებელი შეჯიბრება სროლაში.

ვაჟთა შორის 50 მეტრიდან მცირეკალიბრიანი შაშხანიდან დგომელა მდგომარეობით სროლაში კარგ შედეგს მიაღწია ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის მოსწავლემ ი. ოქრუაშვილმა (336 ქულა). მასვე ხვდა პირველი ადგილი ჩოქელა მდგომარეობიდან სროლაში (362 ქულა).

საინტერესოდ მიმდინარეობდა ვარჯიში ნაგანიდან 25 მეტრზე სროლაში. სპორტსმენებს უნდა ესროლათ 30 ტყვია თავისუფალ მდგომარეობიდან და ამდენივე სილუეტზე. გამარჯვება ენიჭებოდა ორივე მდგომარეობაში საუკეთესო შედეგის მოპოვებისათვის. სასროლი სპორტის ამ სახეობაში პირველ ადგილზე გამოვიდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენელი თ. ხერხეულიძე. მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან 50 მეტრიდან სროლაში გამარჯვება წილად ხვდა სპორტის ოსტატ ვ. გაბრიელიანს. მან 30 გასროლაში 214 ქულა მოაგროვა.

ქალები ასპარეზობდნენ მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრიდან სროლაში—„სტანდარტი". მათ უნდა ესროლათ სამოცი ტყვია სამ მდგომარეობიდან: წოლელა, ჩოქელა და დგომელა. წარმატება წილად ხვდა ჩამომსხმელი ქარხნის ინჟინერს მ. ქიპაშვილს, რომელმაც ჩოქელა მდგომარეობიდან სროლაში სამი ქულით გააუმჯობესა რესპუბლიკური რეკორდი. მისი შედეგია 192 ქულა 200 შესაძლებლიდან. მანვე დაიკავა პირველი ადგილი სამივე მდგომარეობიდან შეჯიბრებაში — 555 ქულა. ქიპაშვილისვე გამარჯვებით აღინიშნა პისტოლეტიდან სროლა 50 მეტრიდან.

მ. ჟამურაშვილი.

სპორტული ქრონიკა

აბაშა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა მოაწყო ველოგადარბენა. მონაწილეობდა ტექნიკუმის 20 სტუდენტი. სტარტიდანვე ინიციატივა ხელთ იგდო III კურსის სტუდენტმა ო. პერტენავამ და პირველობა ბოლომდე არავისთვის დაუთმია. მეორე ადგილზე გამოვიდა I კურსის სტუდენტი ა. პაპოშვილი. პირველ-მეორე ადგილზე გამოსული სპორტსმენები დაჯილდოვებულ იქნენ „უროჟაის" სიგელებით.

ღონისძიება საინტერესოდ ჩატარდა.

ი. ჩაგანავა.

• • •

ლაგოდეხი. ი. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტმა მოაწყო საქართველოს ალკკ ლაგოდეხის რაიკომის მე-14 კონფერენციისადმი მიძღვნილი შიდასასკოლო შეჯიბრება ჭადრაკში. ჩემპიონატში მონაწილეობდა 10 მოჭადრაკე.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა მეცხრეკლასელმა კომკავშირელმა ბ. ჩიკვაიძემ.

გ. კიკილაშვილი.

• • •

სტალინირი. ჯანმრთელობის დაცვის რაიონულმა განყოფილებამ მოაწყო რაიონის მოჭადრაკეთა ტურნირი პირად პირველობაზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 10 მოჭადრაკე. პირველი ადგილი დაიკავა შ. ლოხოვმა, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილი წილად ხვდა ა. არბოლიშვილს.

ვ. ქასრაძე.

სპორტულ საზოგადოებებში

„ფრუდი"

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ახლადგებულ სპორტულ დარბაზში ერთ თვეს გრძელდებოდა ქალაქის პირველობის გათამაშება ფრენბურთში. მონაწილეობდა წარმოება-დაწესებულებების ვაჟთა 13 და ქალთა 5 გუნდი. ვაჟები დაყოფილი იყვნენ სამ ქვეჯგუფად. ქვეჯგუფებში გამარჯვებულმა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, 26 კომისრის სახელობის ქარხნისა და თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის ფრენბურთელებმა შექმნეს ფინალური ჯგუფი.

ვაჟთა შეჯიბრებაში პირველი ადგილი მოიპოვა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა, რომელმაც ორივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით (2:1) მოიგო. მეორე ადგილზეა თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის გუნდი.

ქალთა გუნდებიდან ყველა შეხვედრა ძლიერად ჩაატარა თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის მეორე გუნდმა და გაიმარჯვა. მეორე ადგილზეა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს, მესამეზე — ავტოშემკეთებელი ქარხნის პირველი გუნდი.

ას უჯრაზე

დამთავრდა საკავშირო საშაშო ტურნირი

რკინიგზელთა კულტურის ცენტრალურ სახლში (მოსკოვი) დამთავრდა საკავშირო ტურნირი ას უჯრიან შაშში. პირველი ადგილისათვის ბრძოლის ბედი გადაწყდა გათამაშების მეთხუთმეტე ტურში, რომელიც გასულ კვირას შედგა. ამ ტურის დაწყებამდე ხარკოვის იურიდიული ინსტიტუტის სტუდენტ ზ. ციროკს, რომელსაც ტურნირში დამარცხება არ განუცდია, ჰქონდა 10,5 ქულა, ხოლო ი. კუპერმანს (კიევი) — 10 ქულა. ციროკმა ი. კოზლოვის (მოსკოვის ოლქი) დამარცხებით გაინაღდა პირველი ადგილი, ხოლო კუპერმანმა პარტია ფრედ დაამთავრა ლენინგრადელ ე. ტიუნევთან და მეორე ადგილზე გამოვიდა. მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს პ. სვიატოიმ (ლენინგრადი) და მ. კოგანმა (კიევი).

„მადლენ-კლუბის" დიდება

უკვე მთელი კვირა მადლენბორგში ვიმყოფებოდით, მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვათ, ქალაქი არ გვინახავს, ამისათვის არ გვეცალა. ნიჩბოსანთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება მიმდინარეობდა და ამიტომ ყოველდღე დაკავებული ვიყავით. მაგრამ დღეს, როცა ყველაფერი უკვე უკან დარჩა, სახელგანთქმული ქალაქის დათვალიერება გადავწყვიტეთ. ბატონი ბრუნსვიკი, ამ ქვეყნის ნიჩბოსანთა ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის — „მადლენ-კლუბის" პრეზიდენტი, თავაზიანად თან გამოგვყვა. ეს იყო დაახლოებით ორმოცდაათი წლის, ჩასუქებული კაცი, სასიამოვნო მანერებით. საგულდაგულოდ გაპარსულ სახეს ახალგაზრდული სიწითლე უმშვენებდა. მისი მუქი თაფლისფერი თვალები ალერსიანად და მეგობრულად იყურებოდნენ ოქროს ჩარჩოიანი სათვალეებიდან, სახიდან ღიმილი არ შორდებოდა. ბრუნსვიკი ჩინებული მოსაუბრე იყო და ხუმრობით გვართობდა.

ბუნებრივია, რომ ჩვენ უპირველესყოვლისა წმინდა მადლენის ძველებური კოშკის ნახვა გვაინტერესებდა, რომლის გარშემო ბევრი ლეგენდაა შეთხზული. კოშკის ქონგურებიდან მოჩანდა მთელი ქალაქი, რომელიც მთის ფერდობზე გაშლილი ზღვისაკენ ეშვებოდა. მზე უხვად აფრქვევდა სხივებს ვიწრო მოედნებს, ნაირფერად ელვარებდა ძველი ტაძრების ისრისებური გუმბათები. ბაღების ხეივნებში მოჩანდნენ ყავახანების ზოლიანი ტენტები. მაგიდებთან მსხდომი ადამიანების გარჩევაც კი შეიძლებოდა.

— წმინდა მადლენა, — თქვა ბატონმა ბრუნსვიკმა, — ჩვენი ქალაქის დამაარსებელია. მან მრავალი სასწაული მოახდინა. მოგითხრობთ ერთ მათგანს... თქვენ იცით, ჩვენი ქალაქი — ეს მეთევზეთა ქალაქია. ხუთასი წლის წინათ თევზმა ერთბაშად დასტოვა ჩვენი ნაპირები. წყნარი ამინდი იდგა და მეთევზეებს არ შეეძლოთ გასულიყვნენ შორს. ქალაქი შიმშილობდა. მაგრამ გამოჩნდნენ მამაცი ადამიანები, რომლებმაც გადაწყვიტეს ნიჩბიანი ნავებით ზღვაში გასულიყვნენ. მშობლიური ნაპირებიდან დაშორებით მათ კარგად მოინადირეს. მაგრამ, როდესაც მეთევზეები სახლში ბრუნდებოდნენ, უცებ გამოჩნდა მეკობრეთა სწრაფმავალი გალერები. შეიძლება სამუდამო მონობა გამხდარიყო მეთევზეთა ხვედრი. მათ ლოცვით შეჰღაღადეს წმინდა მადლენას. მოხდა სასწაული: მძიმედ დატვირთულმა ნავებმა მეკობრეთა მსუბუქ ნავებზე უფრო სწრაფად იწყეს სვლა. რამდენიმე საათში მეთევზეებმა დიდი მანძილი გაიარეს და მშვიდობით დაბრუნდნენ სახლში. იმ დროს კოშკზე, სადაც ახლა დგახართ, ქალაქელებმა წმინდა მადლენა დაინახეს...

ბატონი ბრუნსვიკი დადუმდა. სალოცავად აპყრობილი ხელებით იგი დაფიქრებული შეჰყურებდა ლეგა ღრუბლებს. შეიკავა რა ოხვრა, მან ღიმილით მოგვმართა:

— წმინდა მადლენას პატივსაცემად, რომელმაც ძალა მისცა მეთევზეებს, ჩვენს კლუბს „მადლენ-კლუბი" დავარქვით და ყოველწლიურად ვაწყობთ წმინდა მადლენას სახელობის ეროვნული ჯილდოს გათამაშებას. ბედნიერები, რომლებიც ამ ჯილდოს მოიპოვებენ, პატივისცემითა და დიდებით სარგებლობენ ჩვენს ქვეყანაში...

თორმეტ საათზე „მადლენ-კლუბში" ჩვენთვის საუზმე იყო გამართული. კოლორიფერებიდან გამაგრილებელი სუფთა ჰაერი ჰქროდა.

კლუბის გამგეობის წევრები, ჭაღართმიანი ბატონები თოვლივით თეთრ პერანგებში, რომლებიც მკვეთრად გამოირჩეოდნენ ლურჯ, წითელ და ნარინჯისფერ პიჯაკების ფონზე, თავაზიანად გვესაუბრებოდნენ. მაგიდებზე უხვად ეწყო ხილით სავსე ლარნაკები, ღვინოები, ლანგარები მინიატურული, ფრჩხილზე ცოტა დიდი, სენდვიჩებითა და რაღაც განსაკუთრებული ეროვნული ღვეზლებით, რომლებიც პირში ჩადებისთანავე დნებოდნენ.

კედელზე დიდ ჩარჩოებში უკანასკნელი ასხუთი წლის მანძილზე წმინდა მადლენას ჯილდოს მფლობელთა პორტრეტები ეკიდა. ჩვენ გვეყურებოდნენ ნიჩბოსანთა გაღიმებული სახეები. აი, აქ ვნახეთ ჩვენ სახელგანთქმული გილიომ კარენის პორტრეტი, რომელიც ოცი წლის წინათ მსოფლიოს სპორტული მიღწევებით აოცებდა.

— ეს იყო ფენომენალური ნიჩბოსანი, ჩვენი კლუბის დიდება, — სიამაყით მოგვითხრობდა ბატონი ბრუნსვიკი. — მან ცხრაჯერ მოიპოვა წმინდა მადლენის ჯილდო...

საუზმის დასასრულს ბატონმა ბრუნსვიკმა ღიმილით შემოიტანა პატარა წიგნაკები და ყველას დაურიგა. ეს იყო ნიჩბოსანთა სიმღერები.

— ვუმღერით ჩვენს ძვირფას სტუმრებს „მადლენ-კლუბის" სიმღერას, — წამოიძახა მან, — დამსწრეებმა გაშალეს წიგნაკები; გადახვიეს ხელი ერთმანეთს და რხევით დაიწყეს სიმღერა.

სიმღერაში ლაპარაკი იყო ნიჩბოსანთა მეგობრობასა და ძმობაზე, მხიარულ, უზრუნველ ცხოვრებაზე, ლაჟვარდოვან ზღვაზე, მზეზე, ყვავილებზე.

გვიან, საღამოს, პარკში სეირნობის შემდეგ, ჩვენ მოვხვდით კინოში, უკანასკნელ სეანსზე.

როცა იქიდან გამოვედით, ჯერ კიდევ ჟღერდა ყურებში ჯაზური სიმღერები, გონებაში დარჩნენ მოღიმარი სახეები. უცნაურმა [illegible] ხმამ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ვიღაც ვიოლინოზე უკრავდა ნაცნობ, ჩვენს მიერ უკვე მოსმენილ მელოდიას. მაგრამ ის ახლა სხვაგვარად ჟღერდა. სადღაც გაქრა სიმსუბუქე და სიცოცხლის ხალისი, მელოდია საცოდავი და მოწყენილი გახდა. მაგრამ ჩვენ ის მაინც ვიცანით. მევიოლინე „მადლენ-კლუბის" სიმღერას უკრავდა.

შესასვლელთან დავინახეთ მოხუცი. მას ეხურა დაჭმუჭნილი, ფორმადაკარგული ქუდი, ტანი ეცვა გაქექილი პიჯაკი, მოღეღილი ფეხსაცმელი. კისერი და მკერდი შარფით ჰქონდა შეხვეული. გაუპარსავი ლოყით მხარზე მიყრდნობილი ვიოლინო ეჭირა. თვალები დახრილი ჰქონდა, ქვევით იყურებოდა, სადაც იდგა ლითონის ფიალა და ფირფიტა წარწერით. გამვლელები სწრაფად უვლიდნენ გვერდს, ცდილობდნენ არ შეეხედათ მათხოვრისთვის. ჩვენ უნებურად შევანელეთ ნაბიჯი.

— ბებერი მათხოვარი! — სიძულვილით, ოდნავ გასაგონი ხმით ჩაიბურტყუნა ბატონმა ბრუნსვიკმა და სახეზე ზიზღი აღებეჭდა.

„მე უმუშევარი გილიომ კარენი ვარ. დღეს არაფერი მიჭამია", — წავიკითხეთ ფირფიტაზე.

რამდენიმე მონეტა ჩავუგდეთ ფიალაში. მოხუცმა ვიოლინო დაუშვა, ქუდი მოიხადა და დაბლა დაგვიკრა თავი — მის მკერდზე გაიელვეს მედლებმა წმინდა მადლენის გამოსახულებით.

ვ. პაშენინი,
ბ. სლივკო.

რედაქტორი ი. უზულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომცემლის — 3-88-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი" თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 13228